ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3461652

ნომერი: AR1528579

თარიღი : 30.07.2017

გაცემის თარიღი : 09.08.2017

გაცნობის თარიღი : 09.08.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეულის , N 5ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო აბსანძე პ/ნ 01009014528
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ. კორ. 19 ბ. 15

ორგანიზაცია:

- ფრესკო შოპინგ ცენტრი კოდი: 406092570

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ #AR1528579 განცხადებაზე 2017 წლის 8 აგვისტოს #3458551 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ: აღნიშნული გადაწყვეტილებით თქვენ დაგევალათ ფოტომონტაჟზე დაგეტანათ სარეკონსტრუქციო ფასადის გაბარიტული ზომები, დაგეანგარიშებინათ სარეკონსტრუქციო ფასადისა და საპროექტო სარეკლამო აბრის პროცენტულობა, ფასადზე უკვე არსებულ სარეკლამო აბრების ფართობების გათვალისწინებით და მიგეთითებინათ ფოტომონტაჟზე.

სამსახურის 2017 წლის 8 აგვისტოს #3458551 გადაწყვეტილებით დაგევალათ წარმოგედგინათ განახლებული დოკუმენტაცია, ამავე გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ სათანადო და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩებოდა განუხილველი. ვინაიდან ზემოაღნიშნული ხარვეზი არ არის გათვალისწინებული, 2017 წლის 8 აგვისტოს #3458551 გადაწყვეტილების შესაბამისად, წინამდებარე განცხადება დარჩა განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.